

ფაქტობრივი  
გარემოებები

შპს „X“ დაფუძნდა 2017 წლის მაისის თვეში. ამავე წლის ოქტომბრის თვეში მან საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გასცა შემოწირულობა 10 000 ლარის ოდენობით.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციაზე არ მოუხდენია საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში.

შეფასება

სსკ-ის 98<sup>3</sup> მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით არ იბეგრება კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა, რომელიც მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს არ აღემატება.

ამავე კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

სსკ-ის 98-ე მუხლის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

ლონისძიებები

საწარმოს დაერიცხება მოგების გადასახადი და დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს არ გააჩნია წინა კალენდარულ წელს მიღებული წმინდა მოგება. შესაბამისად, საწარმო ვალდებული იყო, გაცემული შემოწირულობის თანხა 10 000 ლარი ოქტომბრის თვეში დაებეგრა მოგების გადასახადით და ბიუჯეტში გადაეხადა 1 764 ლარი ( $10\,000/0,85 \cdot 15\% = 1\,764$ ).

**ანოტაცია**  
**„საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა“ №2606**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“ დაფუძნდა 2017 წლის მაისის თვეში. ამავე წლის ოქტომბრის თვეში მან საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გასცა შემოწირულობა 10 000 ლარის ოდენობით.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციაზე არ მოუხდენია საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში.

სსკ-ის 98<sup>3</sup> მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით არ იხეგრება კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება, რომელიც მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს არ აღემატება. ამავე კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად. სსკ-ის 98-ე მუხლის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს არ გააჩნია წინა კალენდარულ წელს მიღებული წმინდა მოგება. შესაბამისად, საწარმო ვალდებული იყო, გაცემული შემოწირულობის თანხა 10 000 ლარი ოქტომბრის თვეში დაებეგრა მოგების გადასახადით და ბიუჯეტში გადაეხადა 1 764 ლარი ( $10\,000/0,85 \cdot 15\% = 1\,764$ ).